



# ჩემი ამბავი

*ლუდმილა ლორთქიფანიძე, 67 წლის, ქ. ბათუმი*

ცხოვრებამ სევდაში მაცხოვრა, ბედნიერება მცირედი მქონდა, ტკივილი ბევრი. ვხარობდი და უეცრად შეწყდა ეს ყველაფერი. თვალები ტკივილნარევი და სევდიანი გამიხდა... განგებამ ხანდაზმულთა თავშესაფარ „კარიტასში“ მომახვედრა.

ბავშვობა? ბავშვობა ბედნიერი მქონდა, პროფესია? - საჭირო და საამაყო, ფარმაცევტი ვიყავი. როგორც ხდება, მერე გავთხოვდი... მიყვარდა და ცოლად გავყევი... კარგი ოჯახი შევქმენით, რადგან სიყვარული გვაკავშირებდა... ერთი შვილი გვყავდა, რომელიც კიდეც უფრო აფერადებდა ჩვენს ცხოვრებას.

მაგრამ არ დამცალდა... ბედნიერება ქარმა წაიღო ... ქმარი და შვილი ავარიაში დამელუპნენ... დავრჩი მარტო.... ჩემს დასთან ერთად განვაგრძე ცხოვრება, მაგრამ იქ ვეღარ გავძელი.... ვეღარ გავძელი მასთან... მარტობა მინდოდა.... და ეხლა აქ ვარ...

მადლობა უფალს, აქ სიყვარული დამხვდა. აქ სული ცოტა დაშოშმინდა, რადგან ეს ადამიანები სიყვარულით სავსენი არიან თვითონ. ეს სიყვარული ისე გავსებს, რომ შენც თან დაატარებ ბავშვივით გულწრფელ ღიმილს... ამ დროს გიჩნდება სურვილი რომ დედამიწა მხოლოდ მზისფერი სიკეთის ფერებით გააფერადო და სხვასაც დაუნაწილო...

ეხლა უკვე მოხუცი ვარ და წარმომიდგენია, რომ აქ ჩემთვის წყნარად, სიყვარულით სავსე გარემოში განვლევ ჩემი ცხოვრების ბოლო წლებსა და წუთებს.

ახალგაზრდების მოსვლა და საღამოები ძალიან მიყვარს, ადრე არ მინდოდა, ეხლა კი სურვილი მაქვს ყველას მოვუყვე ჩემი ისტორია, გული გადავუშალო და გავიხსენო ჩემი ცხოვრების პატარა, მაგრამ ლამაზი ისტორიები, რათა უკვდავყო ჩემი ქმრისა და შვილის ხსოვნა... ასევე ვგრძნობ, რომ ახალგაზრდებიც ჩვენგან სწავლობენ სიკეთეს ნაბიჯ-ნაბიჯ და ეს მახარებს. ისინი სიკეთის კეთებას ცხოვრების წესად იხდიან და ესეც ძალიან მახარებს, რადგან ვიცი რომ თუ კი ასე გაგრძელდება, საქართველოში ხანდაზმული არ დარჩება სიყვარულის და ყურადღების გარეშე, თუნდაც იყოს ცხოვრებისაგან მარტოდ დარჩენილი, მას ხომ გვერდით სიკეთის მთესველები ეყოლება, რომელსაც მე მზისფერი სიკეთე დავარქვი... . მე ამის მწამს და მჯერა...

## **My Story**

### **Ludmila Lordkipanidze, 67, Batumi**

I have had a lot of sorrow in my life, little happiness, much pain. I was happy and suddenly it stopped. My heart is full of pain and sorrow. Fate took me to Caritas, a house where single elderly people live.

Childhood? I was happy then... Profession? – necessary and respectful, I was a pharmacist. As usually happens, I married... I was in love and got married. We had a good family and loved each other. We had one child who made us very happy.

But it did not last. The wind took away my happiness. My husband and child died in a car accident. I was left alone. I went to live with my sister but it was very difficult for me to live there. I didn't want to be with her or anybody. I wanted to be alone. And now I am here...

Thanks to God that I found love here. My soul melted a bit as these people were full of love and this love filled me and made me smile. Sometimes I want to paint our world in bright colours and share it with others...

Now, I am old and can imagine the last years and minutes of my life in this quiet environment, which is full of love.

I am very glad when young people come to visit us and we spend evenings with them. Earlier I did not want to tell people my story but now I am ready to open my heart and tell them small stories from my life to keep memories of my husband and son alive. Now I understand well that we can teach young people to be kind and this makes me happy. I am sure that kindness will become a normal thing for them and this also makes me happy as I am sure that if it goes on like this, then nobody in Georgia will remain without love and attention. Even if left alone, old people will be surrounded by people who spread kindness and who I compare to the bright sun. I do hope and believe this will happen...